

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №44

ქ. თბილისი

2019 წელი, 19 აპრილი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, თევდორე ისაკაძე, დავით უჯმაჯურიძე, გოჩა თევდორაძე, ნიკოლოზ ვაჩიშვილი

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი გაბაშვილი

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

გვანცა ნიკოლაიშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი ებანოძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ნინო კვეტენაძე - თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი

თამარ შარაშიძე - გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

დავით ჯაიანი - ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები (წარმომადგენელი):

ალექსანდრე კართხია

კობა კობალაძე

ზურაბ წვერიკმაზაშვილი

ლაშა დანელია

გიორგი არუთინოვი

შორენა დარჩიაშვილი

ნინო რუხაძე

ბექა კიკალიშვილი

ნიკოლოზ გოგეშვილი

№	საკითხის დასახელება
1.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ (საკრებულოს №12-031905990-03 28.02.2019)
2.	კომერციულ ბანკებში საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს №12-0319105118-03 15.04.2019)
3.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-031910281-03 12.04.2019; №12-031910683-03 16.04.2019; 12-0319107122-03 – 17.04.2019)
4.	„ქალაქ თბილისში სოფელ დიდ ლილოში, საკადასტრო კოდი: N81.08.07.534 (33 840 კვ.მ.) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031908830-03 29.03.2019)
5.	„ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, შ.პ.ს „მწვანე ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N314) ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ-2) შესაბამისი ობიექტებისაგან შემდგარი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 თებერვლის N01/122 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031908831-03 29.03.2019)
6.	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №180, საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0319098150-03 08.04.2019)
7.	ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა №6, №7, მარშალ გელოვანის გამზირი №23გ, №27, №23, №23ა, №23ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.023, №01.10.10.025.036, №01.10.10.025.045, №01.10.10.025.069, №01.10.10.025.070, №01.10.10.025.071, №01.10.10.025.086), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულ - გამაჯანსაღებელი, სკოლა, ბაღი, კომერციული და დამხმარე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0319101151-03 11.04.2019)
8.	„ქალაქ თბილისში, შესახვევი გორგასალი №5, საკადასტრო კოდი: №01.18.09.001.008 (ფართობი: 17313 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, სასტუმრო, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-031910684-03 16.04.2019)

9.	„ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, იპოლიტოვ - ივანოვის ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის N198 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031910682-03 16.04.2019)
10.	ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031910075-03 10.04.2019)
11.	ქალაქ თბილისში, ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაიას #48-ში (საკადასტრო კოდი: #01.14.05.003.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019)
12.	ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909862-03 08.04.2019)
13.	ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მასივი-3, III მიკრორაიონის კორპუსი №319კ-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.39.010.001.01.024) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909862-03 08.04.2019)
14.	ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.002.017.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909862-03 08.04.2019)
15.	ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.087.02.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909862-03 08.04.2019)
16.	ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ: 181.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03190953-03 05.04.2019; №12-0319036155-03 05.02.2019)
17.	ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031910153-03 11.04.2019)
18.	ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №24-26-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.047) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაიფაზისთვის“ (ს/ნ: 404553700) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909317-03 03.04.2019)

19.	ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.132.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის“ (ს/ნ: 204861961) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909317-03 03.04.2019)
20.	ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.066.011) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქერო“-სთვის (ს/ნ: 416341300) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909317-03 03.04.2019)
21.	ქალაქ თბილისში, შ. დადიანის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.025) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ გავაშელისთვის (პ/ნ: 01019062511) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909317-03 03.04.2019)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ (საკრებულოს №12-031905990-03 28.02.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოდგენილია საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად 2019 წლის 28 თებერვალს და მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. შემოსულობები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 052 185,7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 1 094 094, 4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 104%. სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია: იურიდიული პირების შემოსავლები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1 000 685,7 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 039 090,5 ათასი ლარით შესრულდა, რაც გეგმის 103,8% და მთლიანი შემოსულობების 92,0%-ს შეადგენს. I - გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 249 606,5 ათასი ლარი. მათ შორის: საშემოსავლო გადასახადიდან ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 59 754,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 66,4%-ია, ხოლო ქონების გადასახადიდან მიღებულია 189 851,9 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან - 152 709,0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 20 317,2 ათასი ლარი, მიწაზე ქონების გადასახადი - 16 825,8 ათასი ლარი. II - გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 579 564,6 ათასი ლარი (გეგმის 99,9%). მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 297,7 თასი ლარი, სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 579 266,9 ათასი ლარი. მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 345 806,9 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 460,0 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 15 000,0 ათასი ლარი (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობისათვის), კაპიტალური ტრანსფერი (სპეციალური) - 198 000,0 ათასი ლარი (გუდიაშვილისა და ორბელიანის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის,“ სპეცტექნიკის შესამენად, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოდერნიზაციისთვის და სხვა), საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური (სპეციალური) ტრანსფერი - 20 000,0 ათასი ლარი (გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებებისთვის). III - სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიურმა შესრულებამ 209 919,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 170 779,7 ათასი ლარის 122,9%-ია. მათ შორის: პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 10 932,6 ათასი ლარი; დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 45,4 ათასი ლარი; რენტის სახით მობილიზებულია 5 121,2 ათასი ლარი (მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1 761,8 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 3 359,4 ათასი ლარი). ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 145 483,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (121 175,0 ათასი ლარი) 120,1%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელიდან მთლიანობაში მიღებულია 7 331,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 850,0 ათასი ლარი) 396,3%-ია (აღნიშნული გამოწვეულია მშენებლობის ნებართვის კოეფიციენტის (არსებული და ახალი) ზრდით, ასევე 2018 წელს დაწესდა ტაქსით (M1

კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე მოსაკრებელი და საანგარიშო პერიოდში მიღებულმა შემოსავალმა 1 955,7 ათასი ლარი შეადგინა); სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი საანგარიშო პერიოდში მიღებულია 77 868,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (64 000,0 ათასი ლარი) 121,7%-ია; დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 47 420,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 45,000.0 ათასი ლარის 105.4%-ია; სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გადაცემისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 11 854,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 10 000.0 ათასი ლარის 119%-ია. არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებულია 1 408,1 ათასი ლარი რაც გეგმის (1 300,0 ათასი ლარი) 108,3%-ია. ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 38 250,7 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 8 676,1 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 53 775,6 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: 5 022,3 ათასი ლარი - ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, შემოსულობა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 16,0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 48 737,3 ათასი ლარი. ფინანსური აქტივებიდან საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 1 228,0 ათასი ლარი. ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულია - 0.3 ათასი ლარი. 2018 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შედგინა 35 566,8 ათასი ლარი. ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 34 677,9 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 27,518.4 ათასი ლარი და წლის ბოლოს ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა 63 085,2 ათასი ლარი. გადასახდელები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელების (ხარჯები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებები) დაზუსტებულმა გეგმა განისაზღვრა 1 086 863,6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 066 576,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99%. მათ შორის: ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 570 748,8 ათასი ლარი, აღებულმა ვალდებულებებმა - 566,581.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 563 028,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.6%-ი და აღებული ვალდებულებების 99%-ია. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 200 949,5 ათასი ლარი, აღებულმა ვალდებულებებმა - 196 166,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 188 778,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93,9%-ი და აღებული ვალდებულებების 97.6%-ია. ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 311 916,4 ათასი ლარი, აღებულმა ვალდებულებებმა - 311 668,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 311 668,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ი და აღებული ვალდებულებების 99.9%-ია. ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 248.9 ათასი ლარი, აღებულმა ვალდებულებებმა - 3 100,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 3 100,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95,4%-ი და აღებული ვალდებულებების 95,4%-ია. ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი 2 815,1 ათასი ლარიდან გადარიცხულია 2 747,1 ათასი ლარი. სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის

საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4 832,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 731,2 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის 3 100,7 ათასი ლარი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დაფინანსდა შემდეგი პრიორიტეტები: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა (კოდი 01 00) - გეგმით გათვალისწინებული იყო 304 437,2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 297 807,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 97,8%-ია. მათ შორის განხორციელდა შემდეგი პროგრამები: ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 00) - გათვალისწინებული იყო 179 357,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 174 491,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 97,3%-ია. მათ შორის განხორციელდა შემდეგი პროგრამები: 02 01 საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - გეგმა 19 939,5 ათასი ლარი დაფინანსდა 19 484,5 01 01 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შენახვა დაფინანსებულია 100 811,5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 107 068,4 ათასი ლარის 94,2%-ი). 01 02 ტრანსპორტის განვითარება დაფინანსებულია 196 996,1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 197 368,8 ათასი ლარის 99,8%-ი). ათასი ლარით, რაც გეგმის 97,7%-ია. 02 03 საპროექტო-სამიეზო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები დაფინანსებულია 1 862,0 ათასი ლარით, რაც გეგმიური მაჩვენებლის 2 160,5 ათასი ლარის 86,2%-ია. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება (კოდი 03 00) - საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული იყო 140 287,1 ათასი ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 138 676,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,9%-ია. მათ შორის შემდეგი პროგრამები: პრიორიტეტი - ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 04 00) დაფინანსებულია 1 888,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (2 257,2 ათასი ლარი) 83,7%-ია. პრიორიტეტი მოიცავს შემდეგ პროგრამებს: 02 02 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - დაფინანსდა 11 700,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 11 995,1 ათასი ლარის 97,5%-ია. 02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - გეგმა 24 927,5 ათასი ლარი, დაფინანსდა 23 821,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,6%-ია. 02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა - გეგმა 2 470,0 ათასი ლარი დაფინანსდა 2 397,8 ათასი ლარით (97%). 02 07 ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები - გეგმა 5 303,0 ათასი ლარი დაფინანსდა 4 738,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 89,4%-ია. 02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 40 184,4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 40 729,8 ათასი ლარის 98,7%-ი). 02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - გეგმა 62 507,7 ათასი ლარი, დაფინანსდა 62 365,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,8%-ია. 02 11 2015 წლის 13-14 ივნისის ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები - დაფინანსდა 3 170,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (4 517,3 ათასი ლარი) 70,2%-ია. 03 01 გამწვანების ღონისძიებების გეგმა განისაზღვრა 30 219,5 ათასი ლარით. პროგრამა დაფინანსდა 28 731,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,1%-ია. 03 02 დასუფთავების ღონისძიებები - გეგმა 104 079,7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით. 03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და

ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 5 912,6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5 987,9 ათასი ლარის 98.7%). 04 01 ბიზნესის სტიმულირება გეგმა 592,7 ათასი ლარი დაფინანსდა 280,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 47,4%-ია. აღნიშნული გამოწვეულია ევროკავშირის გრანტის „ბიზნეს აქსელატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების გამო, აქტივობების განხორციელების ვადები შეიცვალა, შესაბამისად ვერ მოესწრო ტრანშის სრულად ათვისება. პრიორიტეტისათვის - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00). პრიორიტეტის ფრგლებში ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის (06 01) და სოციალური დაცვის (06 02) პროგრამები რომლებისთვისაც 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 194 113,5 ათასი ლარი. შესაბამისად ვერ მოესწრო ტრანშის სრულად ათვისება. 04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში დაფინანსდა 200,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 90%-ა. 04 07 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსებულია 180,6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 184,6 ათასი ლარის 97.8%). 04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა - გეგმა 98,0 ათასი ლარი, დაფინანსდა 71,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 72,7%-ია. 04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია - გეგმა 447,9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით. 04 10 ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსდა 7,2 ათასი ლარით (გეგმის 97,3%). 04 12 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა - საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული 669,2 ათასი ლარის ფარგლებში ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მე-6 ეტაპის სამუშაო - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურება, რომლის ფარგლებშიც მომზადდა სხვადასხვა დოკუმენტაცია. გეგმა დაფინანსდა 100%-ით. (კოდი 05 00) განსაზღვრული გეგმა 18 219,6 ათასი ლარი დაფინანსებულია 96,9%-ით (17 662,1 ათასი ლარით). პრიორიტეტი მოიცავს პროგრამას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01). 06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 49 295,6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 50 045,4 ათასი ლარის 98.5%). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგ ქვეპროგრამები: სასწრაფო სამედიცინო დახმარება, დაავადებათა სკრინინგი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია და სხვა. 06 02 სოციალური დაცვა დაფინანსებულია 143 571,3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 144 068,1 ათასი ლარის 99.7%) შემდეგ ქვეპროგრამებზე: კომუნალური ვაუჩერი (კოდი 06 02 01) - 100%, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სერვისები მიწოდების დაფინანსება 97.6%, სხვა სოციალურად დახმარების ღონისძიებები - 99.7%, ომის ვეტერანების დახმარება - 100%, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება 100%, უფასო სასადილოებით მომსახურება 99.6%, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია - 97.4%, სოციალური (დახმარების) ღონისძიებები

რაიონებში 99.7%, შეზღუდული შესაძლებლობების განათლება (კოდი 07 00). საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის დაფინანსება დაგეგმილი იყო 142 726,2 ათას ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შედგინა 98.8 % (140 951,1 ათასი ლარი). კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - პრიორიტეტი დაფინანსდა 27 016 ათასი ლარით, რაც გეგმის (28 665,7 ათასი ლარი) 94.2%-ია. მათ შორის შემდეგი პროგრამები: (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში 99.7%, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა 95.4% და სხვა. 07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია 121 343,8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 122 035,8 ათასი ლარის 99.4%). პროგრამა მოცავს ქვეპროგრამას - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02). საანგარიშო პერიოდში ვაუჩერული დაფინანსების სახით, გაწეულია ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯები. მიმდინარე პერიოდში ბალის მომსახურება 180 საბავშვო ბაგა-ბაღში გაეწია 61100-მდე აღსაზრდელს. დასრულდა 11 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 112 საბავშვო ბაგა-ბაღში. 07 02 ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა დაფინანსებულია 11 484,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (12 158,2 ათასი ლარი) 94.5%-ია. 07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,592,2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2 678,1 ათასი ლარის 96.8%). 07 04 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა - გეგმა 221,0 ათასი ლარი, დაფინანსდა 208,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.4%-ია. 07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 2 214,3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2 309,2 ათასი ლარის 95.9%) 07 06 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე - 2018 წლის გეგმა 3 323,9 ათასი ლარი, დაფინანსდა 3 107,8 ათასი ლარით. რაც გეგმის 93.5%-ია. 08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 1,978,3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2 005,9 ათასი ლარის 98,6%). 08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - გეგმა 1 829,7 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,755,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,9%-ია. 08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია - დაფინანსებულია 1,074.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1 082,1 ათასი ლარის 99.3%-ი). 08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება დაფინანსებულია 2 266,9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2 673,9 ათასი ლარის 84.8%). საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (კოდი 09 00) - პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამა თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვა (კოდი 09 01) 92,5%-ით და პროგრამა ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) 99.8%-ით. ქალაქ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული 73 165,3 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 71 610,1 ათასი ლარი შედგინა, რაც 97,9%- ია.

კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშზე წარმოდგენილი ინფორმაცია დადებითად შეაფასა და მიიღო

გადაწყვეტილება საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ

2. კომერციულ ბანკებში საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს №12-0319105118-03 15.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის და “კომერციულ ბანკებში გახსნილი საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის გამოთხოვის თაობაზე” მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 აპრილის N19.418.579 განკარგულების შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ თანხმობა ითხოვა, ქალაქ თბილისში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების მიზნით, კომერციულ ბანკებში საკრედიტო ხაზის ლიმიტის, 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარის ოდენობით, გაზრდის თაობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-031910281-03 12.04.2019; №12-031910683-03 16.04.2019; 12-0319107122-03 – 17.04.2019)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის №12-031910281-03 12.04.2019; №12-031910683-03 16.04.2019; 12-0319107122-03 – 17.04.2019 წერილებით წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა გიორგი ებანოიძემ. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის

შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 20 წინადადება, კერძოდ:

№12-031910281-03 - 12.04.2019

ა) ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.279; 5960კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.279, საერთო ფართობი:18 765 კვ.მ) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №41 განკარგულებით დადგენილია ფუნქციურ ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.279; 5960 კვ.მ) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია.

ბ) ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.036.004; N01.18.13.036.005; N01.18.13.036.001; N01.18.13.036.002; N01.18.13.036.003; N01.18.13.036.008; N01.18.13.036.007; N01.18.13.036.006; 11 998,8კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.18.13.036.004; 01.18.13.036.005; 01.18.13.036.001; 01.18.13.036.002; 01.18.13.036.003; 01.18.13.036.008; 01.18.13.036.007; 01.18.13.036.006, ფართობი: 12 000 კვ.მ) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №15 განკარგულებით დადგენილია ფუნქციურ ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.036.004; N01.18.13.036.005; N01.18.13.036.001; N01.18.13.036.002; N01.18.13.036.003; N01.18.13.036.008; N01.18.13.036.007; N01.18.13.036.006; 11 998,8კვ.მ) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია.

გ) ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება II მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:N01.17.07.017.099; N01.17.07.016.039; N01.17.07.016.042;N01.17.07.017.081) და დაურეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ცვლილების ფართი: 6 381 კვ.მ) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1)

ცვლილება; სატრანსპორტო ზონის გაჩენის აუცილებლობა გამოწვეულია არსებულ განაშენიანებასთან მისასვლელი გზის უზრუნველსაყოფად. საპროექტო ზონირება მოიცავს უკვე არსებულ გრუნტის და ასფალტით დაფარულ გზას, შესაბამისი ფუნქციური ზონით მოეწყობა სრულფასოვანი მისასვლელი გზა და აისახება არსებული მდგომარეობა. ამასთანავე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და ასევე ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან. აღნიშნულს ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 26 თებერვლის N01190573437 წერილი, რომლითაც ტრანსპორტის სამსახური არ ეწინააღმდეგება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სა-6) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილებას. განცხადების შეტანის დროისთვის მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ნაწილი შეიცვალა საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება II მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.07.017.099; N01.17.07.016.039; N01.17.07.016.042; N01.17.07.017.081) და დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (ცვლილების ფართი: 6 381 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

დ) ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.197, ფართობი: 13 934 კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. განცხადების შეტანის დროისთვის მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ზონა (ლსზ). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ლანდშაფტურ -სარეკრეაციო ზონა (ლსზ) შეიცვალა სატყეო ზონით. ვინაიდან „ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.024) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 19 მაისის N1193 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმა არსებულ ტერიტორიაზე ითვალისწინებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობას, ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.197, ფართობი: 13 934 კვ.მ) საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) და სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1- ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება.

ე) ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.001.039) ნაწილზე და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.04.001.025) (ფართობი: 343.9კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1- ის (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. მოცემული ფუნქციური ზონები ვრცელდება საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, რომელიც მოქცეულია შემოფარგლული ღობის საზღვრებში და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ფართის შექმნაც ამ გარემოებით არის განპირობებული. სარეკრეაციო ზონის ცვლილების შესაძლებლობა დადასტურებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 თებერვლის N01190364049 წერილით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.001.039) ნაწილზე და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.04.001.025) (ფართობი: 343.9 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღება.

ვ) ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონი, სოფელი დიდომი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა N136ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.042.973) და მის მიმდებარედ 263 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ხარვეზს. განცხადების შეტანის დროისთვის მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური

გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გასწორდეს არსებული შეუსაბამობა და ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონი, სოფელი დილომი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა N136ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.042.973) და მის მიმდებარედ 263 კვ.მ ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეიცვალოს საცხოვრებელი ზონით (სზ).

ზ) ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, მირცხულავას ქუჩა N9-11, მირცხულავას ქუჩა N11აში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.04.018.108, N01.13.04.017.105, N01.13.04.017.107, N01.13.04.017.106, N01.13.04.017.096, N01.13.04.017.110, N01.13.04.017.109, N01.13.04.017.101, საერთო ფართობი: 26 359 კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე, ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. მირცხულავას ქ. N9-11, 11ა-ში, კოსმონავტების სანაპირო N91-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის N380 გაკარგულებით დადგენილია ფუნქციურ ზონები სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4), საცხოვრებელი ზონა - 6 (სზ-6), სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, მირცხულავას ქუჩა N9-11, მირცხულავას ქუჩა N11ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.04.018.108, N01.13.04.017.105, N01.13.04.017.107, N01.13.04.017.106, N01.13.04.017.096, N01.13.04.017.110, N01.13.04.017.109, N01.13.04.017.101, საერთო ფართობი: 26 359 კვ.მ) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია.

თ) ქალაქ თბილისში, ფიროსმანისა და ფოცხვერაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე/ქალაქი თბილისი, გოგოლის ქუჩა (ფოცხვერაშვილის) 13/13 (ნაკვეთი N7/24)/ქალაქი თბილისი, ქუჩა გოგოლის (ფოცხვერაშვილის) N13/13-ში (ნაკვეთი N7/23) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.01.007.027) ნაწილზე (ფართობი: 11 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. მოთხოვნილი ტერიტორია მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში და მცირე ნაწილს ფარავს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). აღნიშნულიდან გამომდინარე გასწორდეს გენერალურ გეგმაზე თანდართული რუკის ხარვეზი და მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.01.007.027) ნაწილზე (ფართობი: 11 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილებას გაეწიოს დადებითი რეკომენდაცია;

ი) ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის შესახვევი II, N8, N8ბ, N8გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.34.004.076; N01.19.34.004.063; N01.19.34.004.062; N01.19.34.004.075; საერთო ფართობი: 7 753 კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონების ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე, ქ. თბილისში, ქინძმარაულის შესახვევი II, N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 7 აპრილის №760 განკარგულებით დადგენილია ფუნქციურ ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის შესახვევი II, N8, N8ბ, N8გში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.34.004.076; N01.19.34.004.063; N01.19.34.004.062; N01.19.34.004.075; საერთო ფართობი: 7 753 კვ.მ) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია.

№12-031910683-03 16.04.2019

კ) დავით კობრიძის 2018 წლის 3 დეკემბრის N011833547-67 განცხადებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე - ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩის N27, (საკადასტრო კოდი: 01.19.24.007.030, ნაკვ. 07/030, ფართობი: 20038.2 კვ. მ) „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.030) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №63 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. შესაბამისად, მასზე ასახული კონკრეტული ფუნქციური ზონირება ექვემდებარება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვას.

ლ) გიორგი თანანაშვილის 2019 წლის 15 იანვრის N01190153071-67 განცხადებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე-ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.293, N01.72.14.008.238 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი, ფართობი: 30 225.5 კვ.მ) - „ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო - საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.293, N01.72.14.008.238, ასევე დაურეგისტრირებელი სივრცე) დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივ - საქმიანი, სასტუმრო) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის N328 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. შესაბამისად, მასზე ასახული

კონკრეტული ფუნქციური ზონირება ექვემდებარება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვას.

მ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 30 ოქტომბრის N06-0118303386-67 მომართვით მოთხოვნილ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის N19.46.86 განკარგულებით. ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-15 დადგენილებით ცვლილება შევიდა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში. მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა (რზ), შესაბამისად არსებული ფუნქციური გადაწყვეტა არსებითად არ განსხვავდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით განსაზღვრულისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ზონის ცვლილება ექვემდებარება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვას.

ნ) ნინო ჩიკვილაძის 2018 წლის 22 დეკემბრის N011835653-67 განცხადებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე - ქალაქ თბილისში, წერონისის ქუჩა N153-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.067.021) ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის N19.46.86 განკარგულებით და შესაბამისი ცვლილება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილება შეტანილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-15 დადგენილებით, შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება ასახულ უნდა იქნას „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში.

ო) ივანე გოგოლაძის 2018 წლის 10 დეკემბრის N01183443874-67 განცხადებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე - ქალაქ თბილისში, კედიას ქუჩა N10-ში (ყოფილი კახოვსკი) მდებრე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.008.095, N01.13.06.008.088, N01.13.06.008.091, N01.13.06.008.055, N01.13.06.008.064, N01.13.06.008.090, N01.13.06.008.092, N01.13.06.008.074, N01.13.06.008.089, N01.13.06.008.094, N01.13.06.008.061, N01.13.06.008.057, N01.13.06.008.049, საერთო ფართობი: 21 373.2კვ.მ) - „ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, კედიას ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის N379 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. შესაბამისად, მასზე ასახული კონკრეტული ზონირება ექვემდებარება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვას.

პ) მერაბ კურცხალიას 2018 წლის 30 ნოემბრის N01183343677-67 განცხადებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე - ქალაქი თბილისი, გლდანი I მ/რ და მუხიანის I მ/რ არსებული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდი: 01.11.13.001.006; 01.11.13.001.030; 01.11.13.001.037; 01.11.13.001.039; 01.11.13.001.041; 01.11.13.001.042; 01.11.13.001.044; 01.11.13.001.045; 01.11.13.001.051; 01.11.13.001.056; 01.11.13.001.057; 01.11.13.001.071; 01.11.13.001.075; 01.11.13.001.087; 01.11.13.001.089; 01.11.13.001.090; 01.11.13.001.091; 01.11.13.001.093; 01.11.13.001.095; 01.11.13.001.099; 01.11.13.001.100; 01.11.13.001.102; 01.11.13.001.103; 01.11.13.001.104; 01.11.13.002.071; 01.11.13.002.078; 01.11.13.002.079; 01.11.13.002.081; 01.11.13.002.216; 01.11.13.002.217; 01.11.13.002.218; 01.11.13.002.219; 01.11.13.002.049 ფართობი: 63296.2 კვ.მ) - „ქ. თბილისში, გლდანის-ნაძალადევის რაიონის, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტო-ვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის 8 დეკემბრის №2109 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. შესაბამისად, მასზე ასახული კონკრეტული ფუნქციური ზონირება ექვემდებარება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვას.

ჟ) ამირ აბას სოჰრაბ ბეიგის 2018 წლის 31 დეკემბრის N01183651014-67 (29.01.2019 N01190293032-67) განცხადებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე-ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, სოფელი წავკისი, რუსთაველის ქუჩა N44-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი მიწის

ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N81.02.21.154;52 110.3კვ.მ) - „ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში - არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 81.02.21.154) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის №324 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. შესაბამისად, მასზე ასახული კონკრეტული ფუნქციური ზონირება ექვემდებარება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვას.

12-0319107122-03 – 17.04.2019

რ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ახალდაბის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.085.047) (ფართობი: 213კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. მოთხოვნილი ცვლილება წარმოადგენს გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს, ვინაიდან, მომიჯნავე მიწის ნაკვეთზეც ასევე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 29 მარტის N0119088308 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ახალდაბის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.085.047) (ფართობი: 213 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

ს) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.079), უნივერსიტეტის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.084, ნაკვეთი 06/034 და N01.14.06.006.085, ნაკვეთი 06/034) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საერთო ფართობი: 18 624,5 კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N86 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ითვალისწინებს ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.079), უნივერსიტეტის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.084, ნაკვეთი 06/034 და N01.14.06.006.085, ნაკვეთი 06/034) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საერთო ფართობი: 18

624,5 კვ.მ) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება.

ტ) ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.090, ნაკვეთი 01/090 ფართობი: 2 025 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება. აღნიშნული მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაშია, საიდანაც იგეგმება 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით აღება, მასზე დროებითი შენობა-ნაგებობა - ღვინის მაღაზიის მოსაწყობად (560 კვ.მ. ფართობზე). ქართული ღვინის მაღაზიის განთავსება აეროპორტის სიახლოვეს ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 აპრილის N01190953340 წერილის მიხედვით, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. შესაბამისად, აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.090; ფართობი: 2 025 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება მისაღება.

უ) ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 81.02.22.080 (ცვლილების ფართობი: 84919კვ.მ)) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ)N81.02.22.080) მრავალფუნქციური სააგარაკო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 მარტის N71 განკარგულებით მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.22.080) შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვითაც იგეგმება ტერიტორიის განვითარება საცხოვრებელი, საზოგადოებრივსაქმიანი და სარეკრეაციო ფუნქციებით, შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფით. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 81.02.22.080 (ცვლილების ფართობი: 84919კვ.მ)) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება.

კომისიის სხდომაზე გამოითქვა შენიშვნა, კერძოდ დადგენილების პროექტს თან არ ახლავს გამწვანებული ტერიტორიების რუკა (ა.თ. ქვეპუნქტით დამტკიცებული) და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა აღნიშნული რუკის წარმოდგენა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის 20 წინადადება, გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

4. „ქალაქ თბილისში სოფელ დიდ ლილოში, საკადასტრო კოდი: **N81.08.07.534 (33 840 კვ.მ.)** აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031908830-03 29.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალი წარმოადგენს დაუსახლებელ გაუნაშენიანებელ სივრცეს. უახლოესი არასაცხოვრებელი განაშენიანება მდებარეობს საკადასტრო ერთეულიდან 300 მეტრის მოშორებით დასავლეთის მხარეს. ჩრდილო დასავლეთით მინიმუმ 500 მეტრის მოშორებით მდებარეობს სოფელი ლილო. ტერიტორია უზრუნველყოფილია მისასვლელი გზებით. რელიეფი უმეტესად სწორი. სამხრეთით მდებარეობს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი, რომელიც არ უქმნის პროექტს საშიშროებას და არ ყვება სამშენებლოდ შეზღუდვის არეალში. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ზოგად სარეკრეაციო ზონაში (რზ). დადგენილია, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ოქტომბრის N319 განკარგულებით დამტკიცებულია აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო წინადადების შესაბამისად, შვეულმფრენების ცენტრის განსათავსებლად სპეციალურად შეირჩა გაუნაშენიანებელი ტერიტორია, რომელსაც კარგი სატრანსპორტო კავშირი ექნებოდა ცენტრალურ მაგისტრალთან. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შვეულმფრენების მომსახურება და სადგომი, მფრინავთა, ტექნიკოსთა და სტუდენტთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ტურისტული გადაყვანები, სატვირთო გადაზიდვები, საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო და სამაშველო მომსახურება. საპროექტო წინადადების შესაბამისად, ტერიტორიის განვითარების კონცეფციას წარმოადგენს შვეულმფრენების ცენტრისთვის ყველა საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურის არსებობა. ტერიტორიაზე ძირითადად განთავსდება 15 მეტრამდე სიმაღლის ერთი ან რამდენიმე ინდივიდუალური-ბლოკირებული შენობა ნაგებობა. მოეწყობა ასაფრენი ბილიკი და პარკინგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 14 მარტის N01190734245 წერილის მიხედვით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა 2018 წლის 3 დეკემბრის N19/01183372441-16 განცხადების საფუძველზე, შეითანხმა აღნიშნული პროექტის საგზაო მოძრაობის ორგანიზების

სქემა და თავისი კომპეტენციი სფარგლებში, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 მარტის N 01190643142 წერილის შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია. შპს „ტავ ურბან საქართველოს“ 2018 წლის 28 მაისის NTAV. GM.4917 წერილის თანახმად, მიწის ნაკვეთი მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისგან შემზღვეველი კონუსის ზედაპირის გავრცელების ფარგლებში და მასზე დასაშვებია ისეთი ობიექტების განთავსება რომელთა სიმაღლე მიწის დონიდან არ აღემატება +15 მეტრს. შპს „საქენერგო ავიაციის“ 2018 წლის 1 ნოემბრის 8/1294 წერილის თანახმად, ასაშენებელი ობიექტი თბილისის სახელმწიფო აეროპორტის სახელსაწყო დაფრენის და აფრენის პროცედურებზე გავლენას არ მოახდენს ვინაიდან, ასაშენებელი ობიექტი ზღვის დონიდან შეადგენს 9,5 მეტრს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის 2-48 ბრძანების თანახმად, მიღებულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ლილო პროგრესის“ აეროდრომის (შვეულმფრენების ცენტრის) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში სოფელ დიდ ლილოში, საკადასტრო კოდი: N81.08.07.534 (33 840 კვ.მ.) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების“ საკითხი, (საქმე №12-031908830-03.29.03.2019წ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N01190432223-67), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

5. „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, შ.პ.ს „მწვანე ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N314) ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ-2) შესაბამისი ობიექტებისაგან შემდგარი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 თებერვლის N01/122 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031908831-03 29.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდებარეობს სოფელ თხინვალაში, ლისის ტბისკენ მიმავალ ტერიტორიაზე, მოიცავს ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, ავთო ვარაზის ქუჩა N42-42ა-42ბ-42გ-42დ-42ე-44-46-48-50-52-54-58-64-ში არსებულ მიწის ნაკვეთებს (საკადასტრო კოდი: N72.16.22.288, N72.16.22.814, N72.16.22.813, N72.16.22.246, N72.16.22.245, N72.16.22.725, N72.16.22.724, N72.16.22.723, N72.16.22.722, N72.16.22.721, N72.16.22.739, N72.16.22.738, N72.16.22.195, N72.16.22.193, N72.16.15.770, N72.16.15.769, N72.16.15.768, N72.16.15.767, N72.16.15.766, N72.16.15.765, N72.16.15.764, N72.16.15.763, N72.16.15.762) და შეადგენს 14 468 კვ.მ-ს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, N72.16.22.288, N72.16.22.814, N72.16.22.813, N72.16.22.246, N72.16.22.245, N72.16.22.725, N72.16.22.724, N72.16.22.723, N72.16.22.722, N72.16.22.721, N72.16.22.739, N72.16.22.738, N72.16.22.195, N72.16.22.193, N72.16.15.770, N72.16.15.769, N72.16.15.768, N72.16.15.767, N72.16.15.766, N72.16.15.765, N72.16.15.764, N72.16.15.763 და N72.16.15.762 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4) და სარეკრეციო ზონა 2 (რზ-2). წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, იგეგმება სექტორი N14 და სექტორი N15-ის გამიჯვნის სქემის ცვლილება, კერძოდ: N72.16.22.287 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი შეუერთდა N72.16.22.247 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ საკადასტრო ერთეულს. გაერთიანების შედეგად მიღებული ნაკვეთის საკადასტრო კოდია N72.16.22.813. (სექტორი 14), N72.16.22.287 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დარჩენილი ნაწილი, რომლის საკადასტრო კოდი დაყოფის შედეგად შეიცვალა და არის N72.16.22.814, N72.16.22.288 ნაკვეთთან ერთად შეუერთდება N72.16.22.245 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს (სექტორი N15). შესაბამისად შეიცვალა სექტორების ფართობები: სექტორი N14 შეადგენდა 2760 კვ.მ-ს, ხოლო სექტორი N15 - 1478 კვ.მ-ს, კორექტირების შემდგომ სექტორი N14 შეადგენს 2708კვ.მ-ს და სექტორი N15-1530 კვ.მ-ს. დასაკორექტირებელი ნაწილის საერთო ფართი, კოეფიციენტები და განაშენიანების ტიპი დარჩება უცვლელი, მხოლოდ ცალკეულ სექტორში, კერძოდ სექტორ N14-ში მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი(კ-2) ნაცვლად 1.1-სა შეადგენს 0.9-ს, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შემცირდა 506,3 კვ.მ-ით და მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) საანგარიშო ფართობი - 95,9 კვ.მ-ით. აღნიშნული კორექტირებით არ იცვლება გამწვანების დენდროლოგიური პროექტი. აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია საპროექტო მიწის ნაკვეთების სექტორებად დაყოფის სქემის რეგულირებით. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 28 დეკემბრის N13557 ბრძანებით დამტკიცდა ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით #72.16.15.314) ინდივიდუალური,

ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ-2) შესაბამისი ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. შემდგომ „ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.314) ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ-2) შესაბამისი ობიექტების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემულ 2007 წლის 28 დეკემბრის N13557 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N300 განკარგულებით შევიდა ცვლილება აღნიშნულ გეგმარებით დავალებაში და საპროექტო ობიექტად ნაცვლად ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ-2) შესაბამისი ობიექტების კომპლექსისა დაფიქსირდა „თაუნჰაუსის“ ტიპის საცხოვრებელი სახლები და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. წარმოდგენილი საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილებას. ვინაიდან, კორექტირდება მხოლოდ შიდა სექტორების (სექტორი N14-N15) ფართობები და რეგულირდება მხოლოდ მიწის ნაკვეთების გამოჯვნის სქემა, „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, შ.პ.ს „მწვანე ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N314) ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ-2) შესაბამისი ობიექტებისგან შემდგარი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 თებერვლის N01/122 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონება N0119070550-67 განცხადებაზე წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად, დასაშვებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

6. ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №180, საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0319098150-03 08.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2). საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დიდი დიღმის გამოსასვლელთან, დავით აღმაშენებლის ხეივნის პირას, რესტორან შარბათის მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: 01.72.14.034.753). საპროექტო ტერიტორიის ფართობია 8 854.00 კვ.მ. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს გაუნაშენიანებულ ტერიტორიას დიდი დიღმის გამოსასვლელთან. საპროექტო წინადადებით საპროექტო ტერიტორია ვითარდება არსებული ფუნქციური ზონის, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისად და მისთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების შემცირებით, კერძოდ კ-1=0,6; კ-2=2,0; კ-3=0,2. შენობის მაქსიმალური მიწის ზედა სართულიანობა 4 და 1 მიწისქვეშა სართულია, მისი მაქსიმალური სიმაღლე 20 მ. დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის წლის 12 ივნისის N144 განკარგულებით დამტკიცებულია სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 28 თებერვლის N16-01190591930 წერილის თანახმად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ეტაპზე განიხილა აღნიშნული პროექტის ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა და შეითანხმა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. შესაბამისად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 25 მარტის N01190844070 წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული 4 ძირი შავი ფიჭვი, 10 ძირი თუთა ჩვეულებრივი, 11 ძირი ცრუ აკაცა, 1 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, ასევე გადასარგავი 3 ძირი შავი ფიჭვი, 8 ძირი თუთა ჩვეულებრივი, 2 ძირი ცრუ აკაცია, 3 ძირი გლედიჩია, 1 ძირი კაკალი დასარგავი 16 ძირი იტალიური ფიჭვი და 16 ძირი მსხვიფოთოლა ნეკერჩხალი, ჯამში - 75 ერთეული ხე) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (1770.8 კვ. მეტრი). ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი. აქვე, გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 4 ძირი მწვანე ნარგავი (№6; №49; №72; №73) წარმოადგენს ხილკენკროვანთა სახეობას, რომელთა მოჭრა/გადარგვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55

დადგენილების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად არ საჭიროებს ნებართვას. ასევე, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების 21 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით, მწვანე ნარგავების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მათ მოჭრასთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური თანახმაა გადაირგოს საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 17 მწვანე ნარგავი (№1; №3; №4; №5; №14; №32; №40; №46; №47; №48; №52; №53; №65; №66; №67; №69; №70) დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. აქვე გაცნობებთ, რომ ექსპერტის მიერ საექსპერტო დასკვნაში შეფასებული 5 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს (№67 კაკალი D=47.8; № 1; 3; 5 შავი ფიჭვი D=44.9; 51.6; 56.4 და №70 გლედია D=38.2) და შესაბამისად ისინი წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, მათი ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდტანიანი ხეების გადარგვის მიზნით, მშენებლობის ნებართვის გამცემის პროცესში დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილ ორგანოს უნდა წარედგინოს თითოეულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს. რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სამსახური თანახმაა მოიჭრას საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 26 ხე-მცენარე (№2; 7-10; 13; 15-21; 23; 25-27; 41; 43; 50-51; 63-64; 68; 71; 76) დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა საკომუნიკაციო ნაგებობების მესაკუთრე ორგანიზაციებიდან წერილები, რომელთა შესაბამისად, აღნიშნული ობიექტის უზრუნველყოფა შესაძლებელია მიმდებარედ არსებული საკომუნიკაციო ნაგებობების მეშვეობით. ტერიტორიის განვითარება ხდება მოცემულ ფუნქციურ ზონაში (საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2 (სსზ-2)) დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრების კლებით 4,6- დან 2,0-მდე და მოცემულ ფუნქციურ ზონაში დასაშვები სახეობებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის N 180-ში, საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის“ დამტკიცების საკითხი (საქმე №12-0319098150-03 08.04.2019წ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი №0119037574-67 (01190793476)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

7. ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა №6, №7, მარშალ გელოვანის გამზირი №23გ, №27, №23, №23ა, №23ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.023, №01.10.10.025.036, №01.10.10.025.045, №01.10.10.025.069, №01.10.10.025.070, №01.10.10.025.071, №01.10.10.025.086), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულ - გამაჯანსაღებელი, სკოლა, ბაღი, კომერციული და დამხმარე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0319101151-03 11.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა N6, N7, მარშალ გელოვანის გამზირი N23გ, N27, N23, N23ა, N23ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, N01.10.10.025.036, N01.10.10.025.045, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.086) და მოიცავს 114 513 კვ.მ-ს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით, წერილობითი დასტურის/მშენებლობის ნებართვის გაცემის რომელიმე სტადიის ან/და ტერიტორიული-სტრუქტურული დოკუმენტების დამუშავებისა ან/და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინამდებარე დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. N01190471-67 განცხადების შემოტანის დროს მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და მცირედზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალი, ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი განვითარებულია საცხოვრებელი ფუნქციებით. ამასთანავე, ჩრდილოეთით განთავსებულია სასწავლო ობიექტები. N01190471-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, ტერიტორია ვითარდება არსებულ ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრების კორექტირებით. მთლიანი ტერიტორიისთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები განისაზღვრება შემდეგნაირად: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) (კ-1=0.4; კ-2=4.5; კ-3=0.2); საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) (კ-1=0.4; კ-2=2.5; კ-3=0.3); სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) (კ-1=0.2; კ-3=0.8); სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) (კ-3=0.2); ტზ-1 (კ-3=0.1); სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) (კ-1=0.2; კ-3=0.8).საპროექტო ტერიტორიაზე

იგეგმება საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულგამაჯანსაღებელი და კომერციული ობიექტების განთავსება, ამასთანავე, დაგეგმილია სკოლის, საბავშვო ბაღის და ზემოხსენებული ფუნქციებისათვის დამხმარე ობიექტების მოწყობა. დადგენილია, რომ „ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.086) ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან „ვენეცია“-სთან (ნაკვ. 25/45, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.045), ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ავტოტექნომსახურების სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთის წინა N25/9, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, ნაკვეთი N25/36, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.036) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის N330 განკარგულებით, N01.10.10.025.023, N01.10.10.025.036, N01.10.10.025.045, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.086 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 19 მარტის N0119078656 წერილის მიხედვით, სამსახურმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ეტაპზე დააფიქსირა პოზიცია. პროექტი არსებითად არ განსხვავდება გეგმარებითი დავალების ეტაპზე წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევისგან. ამასთან, წარმოდგენილია სატრანსპორტო მოდელირება, რომელიც ითვალისწინებს N16-01182412675 (29.08.2018) წერილით მითითებულ საკითხებს. კერძოდ, გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საავტომობილო გზებზე ავტობუსის სეგრეგირებული ხაზები, კარგად შეკავშირებული საფეხმავლო ქსელი, საქვეითე გადასასვლელები ქუჩის დონეზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დამატებითი გაჩერებები, განახლებული მოძრაობის ორგანიზების სქემა. მოდელირებამ აჩვენა, რომ რეკომენდირებული ღონისძიებები გააუმჯობესებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 2 აპრილის N01190923003 წერილის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვავებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხემცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა N01190471-67 განცხადებაზე წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი. N01190471-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, იგეგმება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის არეალის შემცირება (60000-დან 24304-მდე) და აღნიშნულის

ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). მთლიანი ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის საშუალო კოეფიციენტი (კ-2) შეადგენს კ-2=2.4-ს. ამასთანავე, ტერიტორიაზე დაგეგმილია ისეთი საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე ობიექტების განთავსება, რომლებიც მოემსახურება მიმდებარე ტერიტორიასაც (სკოლა, ბაღი, სპორტკომპლექსი). იგეგმება საერთო სარგებლობის სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა №6, №7, მარშალ გელოვანის გამზირი №23გ, №27, №23, №23ა, №23ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, N01.10.10.025.036, N01.10.10.025.045, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.086), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულ - გამაჯანსაღებელი, სკოლა, ბაღი, კომერციული და დამხმარე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის“ დამტკიცების საკითხი (საქმე№12-0319101151-03 11.04.2019წ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი №01190471-67) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

8. „ქალაქ თბილისში, შესახვევი გორგასალი №5, საკადასტრო კოდი: №01.18.09.001.008 (ფართობი: 17313 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, სასტუმრო, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-031910684-03 16.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო წინადადების შესაბამისად, დაგეგმვის მიზანია თანამედროვე სტანდარტების მქონე, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. ქალაქის ეს ახალი ობიექტი - დაგეგმარდება თანამედროვე, უსაფრთხო და ინფრასტრუქტურულად გამართული მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. საპროექტო ლოკაციის შემოთავაზებული კონცეფციის ფარგლებში განვითარება კომპენსირდება დიდი რაოდენობის რეკრეაციული სივრცის გაჩენის კონცეფციით, რაც ძველი შენობის განაშენიანების წყობის შენარჩუნების გათვალისწინებით, წარმოადგენს საუკეთესო სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტის შემოთავაზებას. ნაკვეთის საერთო ფართობია 17313 კვ.მ. - მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სატყეო ზონა. საპროექტო ზონირება: საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) 14888 კვ.მ.; სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) 1717,7 კვ.მ; ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) 707,2 კვ.მ. საპროექტო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2= 4.0; მაქსიმალური სართულიანობა - 9 -28 სართული; საპროექტო ფუნქციური ზონები

განისაზღვროს მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, კერძოდ: ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ნაცვლად დაფიქსირდეს სატყეო ზონა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 19 მარტის N01190783514 მიმდინარე სამარშრუტო სქემის ოპტიმიზაციის ფარგლებში და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, გამოყოფილია საზ. ტრანსპორტის სამი იერარქიული დონე: სატრანზიტო საზ. ტრანსპორტით (კარგად შეკავშირებული, მაღალი ტევადობის, ხშირი და სწრაფი საზ. ტრანსპორტი); საუბნო საზ. ტრანსპორტის (საშუალო ტევადობის, საუბნო კავშირის უზრუნველყოფელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ მოძრაობს სპეციალურ, ავტობუსის, გამოყოფილ ზოლში) და მესამეული „მემკრები“ საზ. ტრანსპორტი, რომელიც დაბალი ინტენსივობის განაშენიანების უბნებს აკავშირებს მეორად და მესამეულ დონის ტრანსპორტთან. ტერიტორიის მომსახურება ამა თუ იმ ტიპის ტრანსპორტით ტექნიკური და ფაქტობრივი წინაპირობებიდან გამომდინარეობს, როგორცაა - განაშენიანების სტრუქტურა, რელიეფი, ქუჩის პარამეტრები და საზ. ტრანსპორტის დაგეგმვის საოპერაციო ტექნიკური საჭიროებები და სხვა. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონაში დასაშვები ფუნქციებისა და განაშენიანების ინტენსივობის სათანადო საზ. ტრანსპორტის მომსახურებისათვის საჭიროა სატრანზიტო საზ. ტრანსპორტი. ძირითადად, იმისათვის, რომ აღნიშნულ ზონაში დაშვებულ მაღალ ინტენსივობას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო ზეგავლენა, მიზანშეწონილია, აღნიშნული ზონა მომსახურებელი იყოს ერთდროულად რამდენიმე მსგავსი ხაზით, რაც უკეთეს სივრცით დაფარვას (მისაწვდომობას) გულისხმობს. საპროექტო ტერიტორია ამჟამად არ არის მომსახურებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტით. საზ. ტრანსპორტის უახლოესი გაჩერება მდებარეობს საპროექტო ნაკვეთიდან 600 მ-ზე შორს (იხილეთ რუკა 1). მიმდინარე სამარშრუტო სქემის ოპტიმიზაციის ფარგლებში, ტერიტორია ვერც მომავალში იქნება მომსახურებელი შესაფერისი საზ. ტრანსპორტით. ტერიტორია მომსახურებელი იქნება მკვებავი ხაზით, რომელიც პირდაპირ კავშირს მხოლოდ გორგასლის ქუჩასთან უზრუნველყოფს. შესაბამისად, საზ. ტრანსპორტი სიხშირის, არც მოცულობა და სივრცითი დაფარვა (მისაწვდომობის) ვერ იქნება მაღალი ინტენსივობის განაშენიანების შესაბამისი. იმისათვის, რომ საცხოვრებელი და საოფისე ფუნქციების სამანქანო მგზავრობების წილი იყოს მცირე, საჭიროა არსებობდეს ასევე კარგი საქვეითო მისაწვდომობა სხვადასხვა საუბნო ფუნქციებზე. საპროექტო ტერიტორიის საქვეითო მისაწვდომობა პრობლემურია. ერთის მხრივ, გორგასლის ქუჩაზე არ არის ტროტუარი (იხილეთ რუკა 2.), რისი მოწყობაც ასევე პრობლემურია ქუჩის პარამეტრებიდან გამომდინარე. საქვეითო მისაწვდომობის არეალი კი დაცლილია საუბნო ფუნქციებისგან - საბავშვო ბაღი, სკოლა, სავაჭრო და საკვები ობიექტები და სხვა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მწირი სატრანსპორტო არჩევანის პირობებში განაშენიანების მგზავრობებისათვის დამახასიათებელი იქნება სამანქანო მგზავრობების მაღალი წილი. გორგასლის შესახვევი პარამეტრებიდან გამომდინარე, არის დაბალი გამტარუნარიანობის (ზღვრული გამტარუნარიანობა შეადგენს - 490-545 ა/ს; ტზმ: გვ. 70). აღსანიშნავია, რომ კვლევის თანახმად საპროგნოზო მგზავრობების რაოდენობა მხოლოდ საცხოვრებელი

ფუნქციისთვის შეადგენს 2689 მგზავრობას, რაც პიკის საათში 800-მდე მგზავრობას მოიცავს. 2016 წლის მოდალური განაწილების მიხედვით, 300-მდე მგზავრობა ინდივიდუალური მოხმარების მანქანით განხორციელდება (36%), ხოლო ზემომოყვანილი არგუმენტების საფუძველზე მოსალოდნელია, სამანქანო მგზავრობების გაცილებით მაღალი წილი. აღსანიშნავია, რომ მოყვანილი მონაცემები არ მოიცავს, საცხოვრებელი, კომერციული და სასტუმროს ფუნქციის ვიზიტორების, ობიექტის მომსახურების და დასაქმებულების მგზავრობებს. შესაბამისად, მხოლოდ მოყვანილი მონაცემების შემთხვევაში სამანქანო ნაკადები შეადგენს გზის გამტარუნარიანობის რესურსის 60%-ს. მანქანაზე დამოკიდებული მაღალი ინტენსივობის განაშენიანება წარმოქმნის სატრანსპორტო პრობლემებს მთელი ქალაქის მასშტაბით, ასევე ადგილობრივ ქუჩათა ქსელისთვის. გორგასლის შესახვევი არის დაბალი გამტარუნარიანობის, შიდა საუბნო ფუნქციის ქუჩა, ორმხრივი მიმართულებით მოძრაობის თითო ზოლით. იმის გამო, რომ ქუჩას არ აქვს ტროტუარი, სავალი ნაწილი გამოიყენება ასევე ქვეითების მიერ. აღნიშნული ინტენსივობის ნაკადები სამანქანო გადაადგილების გარდა, შექმნის ქვეითების უსაფრთხოების პრობლემას. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური მიიჩნევს, რომ აღნიშნული წინადადებით დაგეგმილი განაშენიანება (რომელიც ინტენსივობა ასევე ფუნქცია) არის სატრანსპორტო უზრუნველყოფის შეუსაბამო. მიზანშეწონილია, ინტენსივობის შემცირება და ასევე საცხოვრებელი (მათ შორის სასტუმროს ტიპის აპარტამენტის) ფუნქციის ნაცვლად, მხოლოდ სასტუმროს ფუნქციით განვითარება. ასევე დასაზუსტებელია კომერციული ფუნქციის ჯგუფში მოაზრებული გამოყენებები. ამას, გარდა წარმოდგენილი ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება შეიცავს ხარვეზებს. ხარვეზები მოცემულია დანართის სახით. ამასთან, ამავე წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური შესაძლებლად მიიჩნევს აღნიშნულ საკითხზე გეგმარებითი დავალების გაცემას, ზემომოყვანილი საკითხების გათვალისწინებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 22 მარტის N01190814079 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი მოიცავს აღნიშნული ეტაპისათვის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილები მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად მონაცემებს, ასევე მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერასა და მათ ხარისხობრივ შეფასებას, რომელთან დაკავშირებითაც სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია. გამწვანების დეტალურ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე გაცნობებით, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხემცენარეებით.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის. დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან, გარდა შავი და ელდარის ფიჭვების, ასევე კვიპაროსის სახეობების ხეებისა. ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება. აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - არანაკლებ 20 სანტიმეტრი. დამატებით გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია. საპროექტო წინადადების შესაბამისად, ტერიტორიაზე მოეწყობა მიწისქვეშა ავტოსადგომები, რომელიც ასევე არამართო მთლიანად აკმაყოფილებს რეგლამენტით დადგენილ, საპროექტო მასშტაბით მოთხოვნილ რაოდენობებს, ასევე აღემატება მას, რის ხარჯზეც იქმნება დამატებითი სარეზერვო ავტოსადგომები. საპროექტო არეალის ფარგლებში მოქმედი ფუნქციური ზონის და მასში დაფიქსირებული ინტენსივობის კოეფიციენტზე ბევრად დაბალია წარმოდგენილი ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები. $k_1=0,3$ და $k_2=4,0$. მთელი საპროექტო არეალის ფარგლებში იგეგმება დაახლოებით 5425 კვ.მ მწვანე საფარის დაგეგმარება. გამწვანებული არეალი მხოლოდ სსზ-2-ისთვის შეადგენს 3000 კვ.მ-ს საპროექტო კომპლექსში სამეზობლო თავშეყრისთვის განკუთვნილი რეკრეაციული სივრცის გადაწყვეტის ორიგინალური წინადადება, რომელიც გამოიყენება, როგორც მოსასვენებელი, გასართობი და სამეზობლოში კომუნიკაციის ხელშემწყობი ფაქტორი და ორიენტირებულია მაცხოვრებელთა ბინებიდან „გარეთ გამოყვანაზე“ სუფთა კომფორტულ გარემოში თუ გასართობ სივრცეებში, რაც სოციალური ინტეგრაციის დონის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. ასევე ხდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის მაქსიმალური შენარჩუნება; ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო

ტერიტორიაზე არსებობს არასათანადო სატრანსპორტო და საფეხმავლო კავშირი ქალაქის ცენტრთან, ასევე ტერიტორია, არასათანადო უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ტერიტორია მდებარეობს მაღალი საშიშროების გეოდინამიკურ ზონაში. ხოლო საპროექტო არეალისთვის დამახასიათებელია, განაშენიანების სტიქიური ხასიათი, რომელიც არ რეგულირდება ერთიანი ჩარჩო-ხედვის პრინციპით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია (ოქმი №44 19.04.2019წ) მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად. ქალბატონო ელენე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 68-ე მე-9 პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით დასკვნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ა/წლის 16 აპრილის №12-031910684-03 წერილით გადმოგზავნილი - „ქალაქ თბილისში, შესახვევი გორგასალი N5, საკადასტრო კოდი: 01.18.09.001.008 (ფართობი: 17313 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, სასტუმრო, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) და მცირე ნაწილზე სატყეო ზონა. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს რთული რელიეფის მქონე ფერდობს, სადაც ნიშნულებს შორის სხვაობა დაახლოებით 16 მეტრია. მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ბუნებრივ ლანდშაფტს. მიმდებარედ არსებული ძირითადი განაშენიანებიდან საპროექტო ტერიტორია გამოყოფილია მდინარე „დუქნისხევი“-ს კალაპოტით, რომლის ქვედა ნიშნულიდან საპროექტო ტერიტორია ბევრად მაღალ ნიშნულზე მდებარეობს, შესაბამისად საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი ლანდშაფტის მაღალ ნიშნულზე არსებობიდან გამომდინარე კარგად აღიქმება ქალაქის სხვადასხვა ადგილიდან. საპროექტო წინადადების შესაბამისად, დაგეგმვის მიზანია თანამედროვე სტანდარტების მქონე, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. ქალაქის ეს ახალი ობიექტი - დაგეგმარდება თანამედროვე, უსაფრთხო და ინფრასტრუქტურულად გამართული მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. საპროექტო ლოკაციის შემოთავაზებული კონცეფციის ფარგლებში განვითარება კომპენსირდება დიდი რაოდენობის რეკრეაციული სივრცის გაჩენის კონცეფციით, რაც ძველი შენობის განაშენიანების წყობის შენარჩუნების გათვალისწინებით, წარმოადგენს საუკეთესო სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტის შემოთავაზებას. ნაკვეთის საერთო ფართობია 17313 კვ.მ. - მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სატყეო ზონა. საპროექტო ზონირება: საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) 14888 კვ.მ.; სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) 1717,7 კვ.მ; ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) 707,2 კვ.მ. საპროექტო განაშენიანების

ინტენსივობის კოეფიციენტი $k-2=4.0$; მაქსიმალური სართულიანობა - 9 -28 სართული; საპროექტო ფუნქციური ზონები განისაზღვროს მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, კერძოდ: ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ნაცვლად დაფიქსირდეს სატყეო ზონა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 19 მარტის N01190783514 მიმდინარე სამარშრუტო სქემის ოპტიმიზაციის ფარგლებში და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, გამოყოფილია საზ. ტრანსპორტის სამი იერარქიული დონე: სატრანზიტო საზ. ტრანსპორტით (კარგად შეკავშირებული, მაღალი ტევადობის, ხშირი და სწრაფი საზ. ტრანსპორტი); საუბნო საზ. ტრანსპორტის (საშუალო ტევადობის, საუბნო კავშირის უზრუნველყოფელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ მოძრაობს სპეციალურ, ავტობუსის, გამოყოფილ ზოლში) და მესამეული „შემკრები“ საზ. ტრანსპორტი, რომელიც დაბალი ინტენსივობის განაშენიანების უბნებს აკავშირებს მეორად და მესამეულ დონის ტრანსპორტთან. ტერიტორიის მომსახურება ამა თუ იმ ტიპის ტრანსპორტით ტექნიკური და ფაქტობრივი წინაპირობებიდან გამომდინარეობს, როგორცაა - განაშენიანების სტრუქტურა, რელიეფი, ქუჩის პარამეტრები და საზ. ტრანსპორტის დაგეგმვის საოპერაციო ტექნიკური საჭიროებები და სხვა. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონაში დასაშვები ფუნქციებისა და განაშენიანების ინტენსივობის სათანადო საზ. ტრანსპორტის მომსახურებისათვის საჭიროა სატრანზიტო საზ. ტრანსპორტი. ძირითადად, იმისათვის, რომ აღნიშნულ ზონაში დაშვებულ მაღალ ინტენსივობას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო ზეგავლენა, მიზანშეწონილია, აღნიშნული ზონა მომსახურებელი იყოს ერთდროულად რამდენიმე მსგავსი ხაზით, რაც უკეთეს სივრცით დაფარვას (მისაწვდომობას) გულისხმობს. საპროექტო ტერიტორია ამჟამად არ არის მომსახურებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტით. საზ. ტრანსპორტის უახლოესი გაჩერება მდებარეობს საპროექტო ნაკვეთიდან 600 მ-ზე შორს (იხილეთ რუკა 1). მიმდინარე სამარშრუტო სქემის ოპტიმიზაციის ფარგლებში, ტერიტორია ვერც მომავალში იქნება მომსახურებელი შესაფერისი საზ. ტრანსპორტით. ტერიტორია მომსახურებელი იქნება მკვებავი ხაზით, რომელიც პირდაპირ კავშირს მხოლოდ გორგასლის ქუჩასთან უზრუნველყოფს. შესაბამისად, საზ. ტრანსპორტი სიხშირის, არც მოცულობა და სივრცითი დაფარვა (მისაწვდომობის) ვერ იქნება მაღალი ინტენსივობის განაშენიანების შესაბამისი. იმისათვის, რომ საცხოვრებელი და საოფისე ფუნქციების სამანქანო მგზავრობების წილი იყოს მცირე, საჭიროა არსებობდეს ასევე კარგი საქვეითო მისაწვდომობა სხვადასხვა საუბნო ფუნქციებზე. საპროექტო ტერიტორიის საქვეითო მისაწვდომობა პრობლემურია. ერთის მხრივ, გორგასლის ქუჩაზე არ არის ტროტუარი (იხილეთ რუკა 2.), რისი მოწყობაც ასევე პრობლემურია ქუჩის პარამეტრებიდან გამომდინარე. საქვეითო მისაწვდომობის არეალი კი დაცლილია საუბნო ფუნქციებისგან - საბავშვო ბაღი, სკოლა, სავაჭრო და საკვები ობიექტები და სხვა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მწირი სატრანსპორტო არჩევანის პირობებში განაშენიანების მგზავრობებისათვის დამახასიათებელი იქნება სამანქანო მგზავრობების მაღალი წილი. გორგასლის შესახვევი პარამეტრებიდან გამომდინარე, არის დაბალი გამტარუნარიანობის (ზღვრული გამტარუნარიანობა შეადგენს - 490-545

ა/ს; ტზშ: გვ. 70). აღსანიშნავია, რომ კვლევის თანახმად საპროგნოზო მგზავრობების რაოდენობა მხოლოდ საცხოვრებელი ფუნქციისთვის შეადგენს 2689 მგზავრობას, რაც პიკის საათში 800-მდე მგზავრობას მოიცავს. 2016 წლის მოდალური განაწილების მიხედვით, 300-მდე მგზავრობა ინდივიდუალური მოხმარების მანქანით განხორციელდება (36%), ხოლო ზემომოყვანილი არგუმენტების საფუძველზე მოსალოდნელია, სამანქანო მგზავრობების გაცილებით მაღალი წილი. აღსანიშნავია, რომ მოყვანილი მონაცემები არ მოიცავს, საცხოვრებელი, კომერციული და სასტუმროს ფუნქციის ვიზიტორების, ობიექტის მომსახურების და დასაქმებულების მგზავრობებს. შესაბამისად, მხოლოდ მოყვანილი მონაცემების შემთხვევაში სამანქანო ნაკადები შეადგენს გზის გამტარუნარიანობის რესურსის 60%-ს. მანქანაზე დამოკიდებული მაღალი ინტენსივობის განაშენიანება წარმოქმნის სატრანსპორტო პრობლემებს მთელი ქალაქის მასშტაბით, ასევე ადგილობრივ ქუჩათა ქსელისთვის. გორგასლის შესახვევი არის დაბალი გამტარუნარიანობის, შიდა საუბნო ფუნქციის ქუჩა, ორმხრივი მიმართულებით მოძრაობის თითო ზოლით. იმის გამო, რომ ქუჩას არ აქვს ტროტუარი, სავალი ნაწილი გამოიყენება ასევე ქვეითების მიერ. აღნიშნული ინტენსივობის ნაკადები სამანქანო გადაადგილების გარდა, შექმნის ქვეითების უსაფრთხოების პრობლემას. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური მიიჩნევა, რომ აღნიშნული წინადადებით დაგეგმილი განაშენიანება (რომელიც ინტენსივობა ასევე ფუნქცია) არის სატრანსპორტო უზრუნველყოფის შეუსაბამო. მიზანშეწონილია, ინტენსივობის შემცირება და ასევე საცხოვრებელი (მათ შორის სასტუმროს ტიპის აპარტამენტის) ფუნქციის ნაცვლად, მხოლოდ სასტუმროს ფუნქციით განვითარება. ასევე დასაზუსტებელია კომერციული ფუნქციის ჯგუფში მოაზრებული გამოყენებები. ამას, გარდა წარმოდგენილი ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება შეიცავს ხარვეზებს. ხარვეზები მოცემულია დანართის სახით. ამასთან, ამავე წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური შესაძლებლად მიიჩნევა აღნიშნულ საკითხზე გეგმარებითი დავალების გაცემას, ზემომოყვანილი საკითხების გათვალისწინებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 22 მარტის N01190814079 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი მოიცავს აღნიშნული ეტაპისათვის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილები მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად მონაცემებს, ასევე მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერასა და მათ ხარისხობრივ შეფასებას, რომელთან დაკავშირებითაც სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია. გამწვანების დეტალურ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე გაცნობებით, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია

გამწვანდეს შერეული ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხემცენარეებით. მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის. დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან, გარდა შავი და ელდარის ფიჭვის, ასევე კვიპაროსის სახეობების ხეებისა. ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება. აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - არანაკლებ 20 სანტიმეტრი. დამატებით გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია. საპროექტო წინადადების შესაბამისად, ტერიტორიაზე მოეწყობა მიწისქვეშა ავტოსადგომები, რომელიც ასევე არამარტო მთლიანად აკმაყოფილებს რეგლამენტით დადგენილ, საპროექტო მასშტაბით მოთხოვნილ რაოდენობებს, ასევე აღემატება მას, რის ხარჯზეც იქმნება დამატებითი სარეზერვო ავტოსადგომები. საპროექტო არეალის ფარგლებში მოქმედი ფუნქციური ზონის და მასში დაფიქსირებული ინტენსივობის კოეფიციენტზე ბევრად დაბალია წარმოდგენილი ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები. $k_1=0,3$ და $k_2=4,0$. მთელი საპროექტო არეალის ფარგლებში იგეგმება დაახლოებით 5425 კვ.მ მწვანე საფარის დაგეგმარება. გამწვანებული არეალი მხოლოდ სსზ-2-ისთვის შეადგენს 3000 კვ.მ-ს საპროექტო კომპლექსში სამეზობლო თავშეყრისთვის განკუთვნილი რეკრეაციული სივრცის გადაწყვეტის ორიგინალური წინადადება, რომელიც გამოიყენება, როგორც მოსასვენებელი, გასართობი და სამეზობლოში კომუნიკაციის ხელშემწყობი ფაქტორი და ორიენტირებულია მაცხოვრებელთა ბინებიდან „გარეთ გამოყვანაზე“ სუფთა კომფორტულ გარემოში თუ გასართობ სივრცეებში, რაც სოციალური ინტეგრაციის დონის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. ასევე ხდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის

მაქსიმალური შენარჩუნება; ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებობს არასათანადო სატრანსპორტო და საფეხმავლო კავშირი ქალაქის ცენტრთან, ასევე ტერიტორია, არასათანადო უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ტერიტორია მდებარეობს მაღალი საშიშროების გეოდინამიკურ ზონაში. ხოლო საპროექტო არეალისთვის დამახასიათებელია, განაშენიანების სტიქიური ხასიათი, რომელიც არ რეგულირდება ერთიანი ჩარჩო-ხედვის პრინციპით. წარმოდგენილი გეგმარებითი დავალება ტერტიტორიულ-სივრცითი მოწყობის თვალსაზრისით მიჩნეულ იქნა პრობლემურად და მისი განხილვა გადადებულ იქნა შემდგომი განხილვისთვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

9. „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, იპოლიტოვ - ივანოვის ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის N198 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031910682-03 16.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა N9, იპოლიტოვ-ივანოვის (ყოფილი ქერჩის) ქუჩა #10-ში, იპოლიტოვივანოვის (ყოფილი ქერჩის) ქუჩა #10-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.249; N01.11.05.029.302; N01.11.05.029.299; N01.11.05.029.300; N01.11.05.029.301) და მოიცავს 27 744 კვ.მ.-ს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). საპროექტო ტერიტორიას მისასვლელი აქვს იპოლიტოვ-ივანოვის და მარსელის ქუჩების მხრიდან. აღნიშნული კორექტირებით არ იცვლება გამწვანების დენდროლოგიური პროექტი. წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, იგეგმება საპროექტო ტერიტორიის შიდა საკადასტრო საზღვრების მინიმალური კორექტირება ფართობის უცვლელად. არ იგეგმება არცერთი პარამეტრის ზრდა ან კლება. უცვლელი რჩება შენობა-ნაგებობათა მაქსიმალური სიმაღლის მაჩვენებელიც. „ქ. თბილისში, გლდანის

რაიონში, იპოლიტე ივანოვის ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N211 განკარგულებით, საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალება, რომელიც შემდგომ დაკორექტირდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N211 განკარგულებით მიღებული ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, იპოლიტე ივანოვის ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N359 განკარგულების შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, N01190353122-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტა ითვალისწინებს მხოლოდ მიწის ნაკვეთების გამიჯვნის სქემის ცვლილებას, „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, იპოლიტოვ - ივანოვის ქ. N10- ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის N198 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონება დასაშვებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

10. ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031910075-03 10.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ.

კომისიამ იმსჯელა, „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 აპრილის #19.364.505 განკარგულებით გათვალისწინებული ქონების: ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ის მე-4 სართულზე მდებარე 70.3 კვ.მ. ფართობის №7 ბინის (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007) და ქალაქ თბილისში, მამია

გურიელის ქ. №5ა, კორპუსი X-ის მე-4 სართულზე მდებარე 51.3 კვ.მ. ფართობის №6 ბინის (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, დავით სოკოლოვთან (პ/ნ: 01018002131) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

11. ქალაქ თბილისში, ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაიას #48-ში (საკადასტრო კოდი: #01.14.05.003.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს შუამდგომლობით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობამ დარიკო კოპალიანისთვის ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე 1 ლარად გადაცემაზე. ვაკის რაიონის გამგეობის ინფორმაციით, დარიკო კოპალიანი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2000 წლიდან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 20 თებერვლის მთავრობის N19.172.232 განკარგულებით მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში მე-5 სართულზე მდებარე უძრავი ქონების 75,44 კვ.მ ფართის ბინა N56-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

12. ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909862-03 08.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლემ ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შუამდგომლობის წერილით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობამ და ითხოვა ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.518) მდებარე უძრავი ქონების ზინაიდა კანდელაკისთვის (პ/ნ 01024012446) საკუთრებაში გადაცემა, რომლიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში (2001 წლიდან) ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 20 მარტის №19.310.415 განკარგულების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (18.01 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებას და შესაბამისად საკითხი წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

13. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მასივი-3, III მიკრორაიონის კორპუსი №319კ-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.39.010.001.01.024) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909862-03 08.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლემ ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, წერილით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობამ და ითხოვა ვარკეთილის მასივი-3, III მიკრორაიონის კორპუსი N319კ, ბინა №24-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.010.001.01.024) სიავეშ კვიციანიძისთვის (პ/ნ 01013025377) საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნულ ფართში მოქალაქე სიავეშ კვიციანიძის ოჯახი 1995 წლიდან შეასახლა გამგეობამ, როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 20 მარტის №19.309.416 განკარგულების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (97,35 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებას და შესაბამისად საკითხი წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

14. ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.002.017.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909862-03 08.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შუამდგომლობის წერილით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობამ და ითხოვა ოცხელის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.010) მდებარე უძრავი ქონების გიორგი ინასარიძისთვის (პ/ნ 01029002335) საკუთრებაში გადაცემა. მოქალაქე 1993 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 20 მარტის №19.313.412 განკარგულების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (71,08 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებას და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

15. ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.087.02.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909862-03 08.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შუამდგომლობის წერილით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობამ და ითხოვა მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.087.02.513) მდებარე უძრავი ქონების ირინა გაგნიძისთვის (პ/ნ 01001037319) საკუთრებაში გადაცემა. მოქალაქე 2008 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 20 მარტის №19.312.413 განკარგულების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

უძრავი ქონების (16,39 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებას. საკითხი და ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

16. ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ: 181.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03190953-03 05.04.2019; №12-0319036155-03 05.02.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ.

კომისიამ იმსჯელა, „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ: N81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 29 იანვრის N19.78.141 განკარგულებით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 4 აპრილის N19.377.503 განკარგულებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით) განსაზღვრული ქონების: ხაზოვან ობიექტად (სიგრძე 2503.99მ.) რეგისტრირებული საკომუნიკაციო ნაგებობის: ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ: N81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, ამხანაგობა „სოფელი შინდისის მოსახლეობასთან“ გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (საქმე NN12-0319036155-03 05.02.2019; 12-03190953-03 05.04.2019წ) განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

17. ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:

№01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031910153-03 11.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ.

კომისიამ იმსჯელა, ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების IV მიკრორაიონში მდებარე 35047 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 აპრილის №19.398.541 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, ბექა ოდიშარიას (პ/ნ: 01008017236) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ბერძნის ქ. №39-ის მიმდებარედ არსებული 3284 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობანაგებობის (ს/კ: №01.18.04.020.183) და ქ. თბილისში, ბერძნის ქ. №38-ის მიმდებარედ არსებული 196 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.04.009.032) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი (საქმე №12-031910153-03 11.04.2019წ) განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

- 18. ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №24-26-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.047) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაიფაზისთვის“ (ს/ნ: 404553700) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909317-03 03.04.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებების (QN657149; QN667887) მიმართა შპს „მაიფაზის“ (ს/ნ: 404553700) დირექტორის წარმომადგენელმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №24-26-ის მიმდებარედ არსებული

42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.047) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №26-ში მდებარე 90.45 კვ.მ. ფართს, 10 წლის ვადით. წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 თებერვლის №60-01190514142 წერილობითი ინფორმაციით (რეგისტრ. №17-011905246-61; 21.02.19წ.), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 07.02.19წ. გადაწყვეტილებით) დადებითი შეფასება მიეცა 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გარკვეული რეკომენდაციით. ამ რეკომენდაციის შესახებ ეცნობა კომპანიას სააგენტოს 11.03.19წ. QN1303605MS შეტყობინებით და 15.03.19წ. №61-0119074392 წერილით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 04.03.19წ. #001457619 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2019 წლის 4 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 27 მარტის N19.348.448 განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 3 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

- 19. ქალაქ თბილისში, შ. დადიანის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.025) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ გავაშელისთვის (პ/ნ: 01019062511) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909317-03 03.04.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებებით (QN652429; #19/01190721629-61) მიმართა მიხეილ გავაშელმა (პ/ნ: 01019062511) და ითხოვა ქალაქ თბილისში, შ. დადიანის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.025) იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, ხუთი წლის ვადით. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით,

აღნიშნული პირი თანასაკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქ.№7-ში მდებარე ფართებს (ს/კ: №01.15.05.075.003.01.516; №01.15.05.075.003.01.517). საკითხზე წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 8 თებერვლის №60-01190394592 წერილობითი ინფორმაციით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 07.02.19წ. გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს ღია კაფეს მოწყობის მიზნით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 28.02.19წ. #001342919 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2019 წლის 27 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1440 ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 27 მარტის N19.343.453 განკარგულების პროექტით განისაზღვრა მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

20. ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.066.011) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქერო“-სთვის (ს/ნ: 416341300) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909317-03 03.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებებით (QN665102; QN656851) მომართა შპს „ქერო“-ს (ს/ნ: 416341300) ერთ-ერთმა დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.066.011) კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 10 წლის ვადით. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარით უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ. №1-ში მდებარე სარდაფს (ს/კ: 01.18.03.066.002.01.512), ხელშეკრულებაში იჯარის მოქმედების კონკრეტული ვადის მითითების გარეშე. საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 თებერვლის №60-01190511172 წერილობითი ინფორმაციით (რეგისტრ. №17-01190513361-61), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 07.02.19წ. გადაწყვეტილებით (დოკუმენტი #4359711) დადებითი შეფასება მიეცა იერუსალიმის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის იჯარის განკარგვის საკითხს ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გარკვეული რეკომენდაციით. ამ რეკომენდაციის შესახებ კომპანიას ეცნობა წერილით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 12.03.19წ. #001637019 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 83 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 12 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 6972 (ექვსი ათას ცხრაას სამოცდათორმეტი) ლარით. განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.


21. ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.132.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის“ (ს/ნ: 204861961) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031909317-03 03.04.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია“ -მ და ითხოვა ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №51/2-ის მიმდებარედ არსებული 22კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი N01.17.01.132.009) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით გადაცემა შემდგომში პანდუსის და კიბის მოსაწყობად. წარმოდგენილია არქიტექტურის წერილი, სადაც მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნულ მისამართზე პანდუსის და კიბის მოწყობას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 27 მარტის N19.347.449 განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 10 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2700 ლარის ოდენობით. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

Handwritten signature in blue ink, reading "რ. სოხაძე", which is circled with a blue line.

რევაზ სოხაძე